№ 219

ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 219

ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (166—1891—9)

კაბინეტი კბილის ექიმთა

ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5 და საღამოს 4—7 საათამდე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

საგანგებო კრება

თანახმად საზოგადოების წესდების § 11-ისა, დანიშნულია 29 ღვინობისთვეს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1, არჩევანი სარევიზიო კომისიისა მიმდინარე წლის წლიურის ანგარიშის შესამოწმებლად;

2, არჩევანი კომისიისა, რომელმაც უნდა გამონახოს საშუალებანი საზოგადოების ახლანდელის სკოლების გასაუმჯობესებლად და ახლების დასაარსებლად;

3, დამატებულის ხარჯის გადადება

და 4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(6—1).

## ახალი ამბავი

—

*** რკინის გზის უმთავრესმა მმართველობამ ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ბაქოსა და ბათუმს შუა ორი სამგზავრო მატარებელი კიდევ მიუმატონ, ხოლო ეს მატარებლები სიარულს დაიწყებენ მომავალის წლიდგან. რკინის გზის მმართველობა ამ ხნის განმავლობაში მიიღებს ორმოცამდე ახალს ვაგონს მესამე და პირველი კლასისას. ეს ახალი ვაგონები უფრო უკეთ იქნებიან მოწყობილნი, ვიდრე წინანდელები. ამასთანავე პირველი კლასის ვაგონებში იქნება შემოღებული საზოგადო განყოფილება მამაკაცთა და მანდილოსანთათვის („ნოვ. ობოზრ.“).

*** ქუთაისის ქალაქის საბჭომ ოცდა-ათის ხმის უმეტესობით წინააღმდეგ შვიდისა დაადგინა, დაეთმოს მმართველობას „სამეფო ბაღი“ ნახევარ ფასად, თუ ეს ადგილი გამოდგება განზრახულის სასამართლოს შენობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქი კისრულობს, გარდა მმართველობის მიერ გადადებულის 10, 000 მანეთისა, ადგილის შესაძენად, გამოიღოს საჭირო თანხა, თუ მიწა შეძენილი იქმნება ქუთაისის საზოგადოების სამმართველოს თანხმობით.

*** სიღნაღიდამ იწერებიან, რომ აქ რთველი უკვე გათავდა. ჩარჩები სოფლებში ტურებივით დაძვრებიან. მაგრამ გლეხი კაცი წელს ადვილად ალარ იმეტებს ღვინოს, რადგანაც ძლიერ ცოტა მოვიდაო.

## რამდენიმე სიტყვა ყმაწვილების აღზრდის შესახებ.

—

„ყმაწვილების აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ ექცევიან მათ უფროსები. ის ზნეობრივი მხარეები, რომელსაც ბავშვი ითვისებს უფროსების მაგალითებით, თითქმის უაღრესნი არიან სასწავლებელში შეძენილს სწავლაზედ. უფროსების მაგალითებს უფრო დიდ მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში, ვიდრე სასწავლებლის „უსტავს“ და დებულებას. თუ ჩვენმა შინაურმა პედაგოგიამ უნდა მიაქციოს რასმე ყურადღება, პირველად მის გამოსაკვლევს და შესასწავლელს საგანს ის უნდა შეადგენდეს როგორ უნდა ექცეოდენ მასწავლებლები და აღმზრდელნი ბავშვს. სასწავლებელი მხოლოდ მაშინ გამოსწვრთნის და გამოიყვანს ნამდვილს კაცს, როდესაც მასწავლებლები თავისს მოწაფეებს ისე მოექცევიან, როგორც ადამიანს, როდესაც ისინი პატივსა სცემენ თვისის მოწაფის ადამიანურს უფლებას და ღირსებას. ბავშვი უეჭველად უნდა შეეჩვიოს ერთხელ დადგენილს წესს. იგი უნდა ემორჩილებოდეს თავისს უფროსს, ვიდრე ჯერ კიდევ ბავშვია და თუ მორჩილებას შინ არ მიეჩვია, ეს უნდა სასწავლებელში ასწავლონ მას. სასწავლებლის წესების ასრულება უნდა იყოს პირველი საგანი აღზრდისა. სისასტიკე აღმზრდელისა საჭიროა ბავშვის ზნეობრივი მხარისა და მის ხასიათის გასაწრთვნელად. მაგრამ ეს სისასტიკე სიმკაცრითა და ბრიყვულის მოქცევით-კი არ უნდა გმოიხატებოდეს, არამედ იგი მოლმობიერებულ უნდა იქნას აღმზრდელის სიყვარულით მოწაფეთა და იმ საქმის მიმართ, რომელიც მას უკისრნია. იგი ყოველ თავისს საქციელში მოწაფეთა მიმართ ამ სიყვარულით უნდა ხელმძღვანელობდეს. მხოლოდ ამ პირობებით შეგვიძლიან ჩვენი ოფიციალური აღზრდა ჰუმანიურად გარდავაქციოთ. დაცინვა და დატუქსვა რამე დანაშაულობისათვის იმდენად უფრო, მოქმედებს ბავშვზე, რამდენადაც იგი მოლბა, რამდენადაც თვით მასწავლებელი აღმოუჩენს ბავშვს გულ-მტკივნეულობას. დამნაშავე ბავშვს მასწავლებლის ერთი შეხედვა გააწითლებს და შეაწუხებს კეთილ-შობილურად აღზრდილს ყმაწვილს, ლანძღვა-გინებით მასწავლებელი თავს შეაძაგებს. ხოლო იმ ყმაწვილზე-კი, რომელსაც შინაც მხოლოდ ლანძღვა-გინება ესმის და სასტიკად კპყრობიან, მასწავლებელი ამისთანა ქცევით სრულებით გავლენას ვერ იქონიებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სინიდისი და თავისმოყვარეობა უპირველესი საგანია ყმაწვილის აღზრდაში. თუ ჩვენს სასწავლებელში ძრიელ ნაკლებად არიან კარგი აღმზრდელნი, ეს იმისი ბრალია, რომ გავრცელებულია აზრი, ვითომც შესაძლებელია კაცი კარგი მასწავლებელი იყოს თუნდა აღმზრდელად არ ვარგოდესო. როდესაც მასწავლებელი აღმზრდელობას არა კისრულობს, მას ნება აქვს უარ-ჰყოს აგრეთვე ის მოვალეობანი, რომელიც საზოგადოდ კაცს აძევს. ვინც მასწავლებლობას კისრულობს, ის კისრულობს ერთსა და იმავე დროს აღმზრდელობასაც თვის-და უნებურად. ამიტომ, ვიდრე მასწავლებელი ყმაწვილების თვალ-ყურის დევნებას დაიწყებს, ჯერ თავისს თავს უნდა დააკვირდეს. მან ყმაწვილში უნდა იცნოს ადამიანური უფლებები. მან უნდა შეიგნოს, რომ ბავშვი ადამიანია, რომ იგი გაჯავრდება. როცა მას აჯავრებენ და უკმაყოფილო გახდება, როდესაც მიზეზს მისცემენ უკმაყოფილობისას“. („ვესტ. ვოსპ.“ № 5).

## ჩაქვისა და კინტრიშ ქობულეთის გათათრება.

(ნაამბობი ს. აჭყვასთაველის უსეინ ქამჯარაძისაგან) *).

ოსმალთ ბევრი ხალხი დახოცეს, მალე ჭახათისკენ, გემის საბამისკენ ქვის სარჩოზელა და თავ-საკვეთი გააკეთეს და იქ ძლიერ ბევრი ხალხი ჩამოარჩეს, მაგრამ მაინც არ იქნა, ოსმალთ ვერ შეაშინეს აქაურები. ამ დროს ბებიაჩემი ხელ-მეორედ გაიქცა ოზურგეთისაკენ და მეც თან წამიყვანა, მაშინ ვიქმნებოდი 13 წლისა. მე და ერთი ჩვენსავით გამოქცეული ქობულეთელი ჯაში გრ. გურიელის პაპასთან დაგვაყენეს და ბებიაჩემი ბატონს იმას ეხვეწებოდა, რომ ეს ბიჭი არავის მისცეთ, რომ არ გამითათრონო. ბებიაჩემი-კი ისევ შინისკენ დაბრუნდა და სთქვა: სადაც ჩვენები დაიხოცებიან, მეც იქ უნდა მოვკვდეო. ოსმალთ ხალხის გაუთათრებლობა არ ქნეს და ამის გამო დიდძალი ხალხიც დახოცეს, საქმე

*) იხ. „ივერია“ № 218.

# ფელეტონი

—

## ხალხის ცხოვრებიდგან.

(შემდეგი*)

### V

ერთს მშვენიერს მაისის დილას თიკო და იმათი დედაკაცი მარეხი ბალჩის კაკლის ჩრდილში ისხდნენ მწვანიანზედ მარტოკანი. სახე-შუქნათლიანი თიკო ყელ-მაღალ ცისფერ ჩულქებს იქსოვდა ბროლის თითებით დილის ცვარით ნამტირალ ყვავილებთან და საამურად უთრთოლებდა ლერწამ ტანზედ გიშრის თმანაწნავებს სურნელთა მფენი დილის ნიავი. თიკოს გვერდით მჯდომარე სახე-დაღვრემილი მარეხი ყაჭის ნაწუწალს ართავდა ტარზედ შუბლშეჭმუხვნით და თან რაღაცეებს ზუზუნებდა მოთქმა-ტირილის კილოზედ. კაკლის ძირას ყინვასავით ცივი და ბროლივით კამკამა წყარო გამოჩუხჩუხებდა, დაფერადსახებულ ილილ-ბილილა ყვავილებიან რუზედ საამური ლივლივით მიდუდუნებდა და ალმასის წინწკლების სროლით ვერცხლის სირმასავით მიიკლაკნებოდა მწვანე ზურმუხტის ვაზებისაკენ, რომელმაც ჯონჯოლივით ეყარა ახლად-დაყვავილებული მტევანი.

დიდრონის მთებით შემოციხული იმათი სოფლის ათას-ფერად აჰყვავებული ბუნება ფერად-ფერადად იალციალებდა მოციმციმე მზის სხივებით სანატრელად გაღაღანებული და ველის ყვავილების სურნელებით დამთვრალი ფრინველების ჟრიამული მთლად აყრუებდა ტყიან მთა-გრეხილის ვაკე კალთობებზედ უზარმაზარ მცენარე-ხეებში ჩამალულ-ჩახატულ სოფელს, რომელიც ამაყად გადასცქეროდა დასურათხატებულ მთიდგან მრავალფერ მცენარეებით შემკულ-მოქარგულს ალაზნის მწვანე ხავერდის ტრიალ მინდორს. იმ არე-მარის თვალ-წარმტაცი მშვენიერება ადამიანის გულ-გონებას ანდამანტივით იზიდავს, ჰხიბლავს, ატყვევებს და შორს გატაცებულ გრძნობებს ათასგვარ ტკბილ-საოცნებო სურათებს უცხოველმყოფელებს თვალ-წინ.

იქ, უზარმაზარ-დახავსებულ კაკალ ქვეშ, რომლის ძირშიაც ლურჯი წყარო გამოჩანჩქარებს და ყვავილთ ძირში მილივლივებს და მიწანწკარებს, თიკომ და მარეხმ ბევრი რამ ილაპარაკეს ამ მთისა, იმ მთისა, ბევრნიც გაჭორ-გამოჭორეს, როგორც მოგეხსენებათ მანდილოსნების საქმე, და ბოლოს, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო, ისე მოსხლეტით ჰკითხა თიკომ მარეხის:

— მართლა, ქა, ეხლა მამაგონდა: გაიოზი ქალაქს აპირობს-რა?

— კაცი ბოდბეში დანიშნულა და ქალაქისთვის სადღა სცხელა, მინამ ერთი ი გვრიტივით დახატულ ქალაიას ლვედივით არ მჭნის და იმი ძუძუ-კოკბების სიყვარულით ძალზედ არ გაძღება.

ამ სიტყვებმა საშინელი თავ-ზარი დასცა თიკოს, ათას მოშხამული ლახვარი გაუტარა გულში და ცოცხალ მკვდარს დაემზგავა: ფათალოსავით გაფითრებულს ცივმა ჰირის ოფლმა გამოჰხეთქა, მწარედ გაგმირულ გულისაგან ფვ-ბრუ დასხმულს თვალთ-დაუბნელდა, ხელები დამბლასავით ჩამოსცვივდა, მშვიდი სუნთქვა გაჭირვებულ ფეთქათ გარდაექცა, თავს ძალის-ძალადღა იმაგრებდა ტორტმით და მარტო ის-ღა ახსოვდა: გლი არ წამივიდეს და არ შევრცხვე მარეხისთანაო. მაგრამ გამოცდილი მარეხი დიდი ხანია უამისოდაც ამჩნევდა, რა სიყვარულის ცეცხლიც სდუღდა და გადმოდიოდა თიკოს გულში.

— უი! ახა ვაგლახ მე! რა მოგივიდა, თიკო? იქნება გული მიგდის, გავიქცევი წყალ მოგირბენინებ, მშობლიურის მზრუნველობით და გულშემატკივრობით შეეკითხა მარეხი, ლონე-მიხდილი ქალი გულზედ მიისვენა და თვალები მიბნედილ თვალებში ჩააცქერა თიკოს.

— არა... არ მინდა... ძლივ-ძლიობით წამოილუღლუღა ფერ-მიხდილმა და ჰირის ოფლში გაწურულმა თიკომ, რომელსაც სასო-წარკვეთილმა სულის ტანჯვა-მწუხარებამ კიდევ და კიდევ შხამ-გესლიანი მახვილი დაუტრიალა გულში და მეტის-მეტმა სიმწარის გრძნობამ სახე დაუპრანჭა. ბოლოს როდის-როდის მოიკრიბა გონება, მოუვიდა ლოყებში ფერი და გულ-გაგმირულმა ნაძალადევის ღიმილით ასე იცრუვა მარეხისთან თავის გამოსაწმენდათ:

— დაჰწყევლა ჩემმა წმინდა გიორგიმ, როცა გულზედ ჰია გადამივლის ხოლმე—ყველთვინ ეგრე მამდის...

— ნუღა ჰთვალთ-მაქცობ, თიკო, აგრემც ღმერთი გაგახაროს, ჰია-კი არა, ფია არ გინდა! ისიც არ გეყო, რაც აქამდინ მატყუე და მეც გითმინე. შვიდი-რვა თვეა გატყობ, ვინც გიყვარს და ვიჰთვინაცა ჰდნები და ილევი მთვარესავით. მას აქათ დღე ერთი იყო და თქმა ათასი: თიკო, მითხარ, გამამიტყდი, თუ ჰკვასა ხარ, ვინ გიყვარს მეთქი; არ ვარგა, შვილო, ე მაგრე მალვით რო იტანჯები დღე და ღამე და ერთ ძე-ადამიანსაც არ უმჟღავნებ საიდუმლოდ შენის გულის პასუხს-მეთქი. შენ-კი უფრო ცხრა კლიტით ჩაიკეტე გული და სუ მიმალავდი და მიჩქლამავდი, იტყვი მარეხი იგეთი უგონოა, რო ჩემ-უთქმელადაც ვერ მიმიხვდეს, ვინც მიყვარსო.

მარეხის სიტყვებზედ ატლასივით წამოწითლებულმა თიკომ ხმა არ ამოიღო და ისევ მარეხიმ დაიწყო:

— არა, მე რო ერთი იგეთი აშაქარი ენა-ტანია ვიყო, კიდე ჰო, მაშინ სხვაფრივ იფიქრებდი, მაგრამ ხო იცი: ჩემ თვალ-წინაც რო კაცი მოკლან, ზეციერი მამა-უფალიც ვერ დამათქმევინებს: ვინ მოკლა. თუ არა-და, ი დამიფარე ნაცილისაგან, რა არი ე მაქთენი სიყვარულის კეკე მალულობა, თქვი ერთხელ, მორ-

*) იხ. „ივერია“ № 204.

გაჭირდა. ბოლოს რამდენიმე მღვდელი და კაცი სიმონ გურიელთან მოვიდნენ და შველა სთხოვეს. სიმონმაც პირობა მისცა და ეს მალე სტამბოლში წავიდა, მეც მოსამსახურეთ თან წამიყვანა; მასთან სხვა თავადებიც იყვნენ, ამათ ხონთქართან მორიგება ჰქმნეს და ნება აიღეს, რომ ქობულეთის, ჩაქვის ქართველები არ გაათათრონო. ამიტომ მალე წამოვიდნენ და აქაურ ფაშიებთან ხონთქრის ბრძანება ჩამოიტანეს და საქმე გაათავეს. ყველა დამშვიდდა, ყველა თავისს სახლ-კარის გაკეთებას და გამაგრებას შეუდგა, ყველამ შეიტყო, რომ მორიგება მოხდა და ხონთქარმა ნება დაგვრთა, რომ ქრისტიანებად ვიქმნეთო. ჩემი ბებია გადმოვიდა გურიაში და მეც უკანვე წამიყვანა ბატონისაგან, რადგანაც გათათრების შიში აღარ გვაქვს ბატონის წყალობითაო. მეც წაველ, ჩვენსა წასვლა ძრიელ მიხაროდა.

რადგანაც ჩვენში გათათრებულები აქა-იქ იყვნენ, ამიტომ ოსმალის ფაშებმა აჭარიდამ ხოჯები და მოლები გამოგზავნეს ჩვენში და ესენი ალოცებდნენ ახალ გათათრებულ ქართველებს. მალე აქა-იქ სოფელ-სოფელ ჯამეების კეთება იწყეს, ჩვენ ხალხს ამაზე ძლიერ მოსდიოდათ ჯავრი. ხოჯა რომ ლაილაჰეს სათქმელად ავიდოდა ჯამეზე და დაიწყებდა ძახილს, ჩვენები ამაზე დიდად ჯავრობდნენ და ამბობდნენ.

— რას ყვირის ეგ მ—ი, ეგაო და სხვანი. ხშირად ქვას, ტალახს და ხის ნაჭრებს ესროდნენ ხოლმე და გააჩუმებდნენ. მაგრამ იგინი მაინც არ იშლიდნენ თათრულებ ლოცვას და ჯამეების კეთებას. გამჩენელი ღმერთის ბრძანებით ნელ-ნელა თათრობა ვრცელდებოდა და თათრები მრავლდებოდნენ აქ. მალე იქამდის მივიდა საქმე, რომ ყოველ სოფელში ხუთიდამ ათი კონახი იქმნებოდა თათრის. თათრებსა და ქრისტიანებში ჩხუბი იმართებოდა ხოლმე და ერთმანეთს ხოცავდნენ. ქართველებს სჯულიდგან გასულები ძლიერ ეჯავრებოდათ. ხოჯა-მოლებმა ხონთქართან იჩივლეს, რომ გურჯები ჯამეებს გვიქცევენ, გვაგინებენ „ლაილაჰეს“ თქმას არ გვაცლიან და ახალ გათათრებულებსაც ხოცავენო. ამიტომ ხონთქრის ბრძანება მოვიდა ასე: რაც გურჯები არიან მანდა, ყველანი გაათათრეთ და ვინც არ გათათრდეს, დახოცეთ და ერთ კაცსაც ნუ დასტოვებთ გაუთათრებლათ, რომ საქმე მორჩეს და მოისვენოსო. ქეშიშებიც მთლად გარეკეთ გურიისკენ და იქიდგან არც არავინ შემოუშოთ თქვენში და არც არავინ გაუშოთო; ვინც იქიდგან შემოვიდეს, დაიჭირეთ და გაათათრეთო; თუ არ გათათრდეს თავი მოსჭერითო. ვინც მანდედგან გაიქცეს და მოასწროთ სადმე და დაიჭიროთ, ისიც მაშინათვე მოჰკალითო. ბრძანებასთან ერთად დიდი ძალი ჯარიც გამოეგზავნათ.

ოსმალნი ბრძანების აღსრულებას მალე შეუდგნენ და დაიწყეს ხელმეორეთ ხალხის ხოცვა. ერთი სარჩობელაც ძველ ქობულეთში გააკეთეს, ყოველ სოფელს გარშემო ჯარი შემოუყენეს და დაუწყეს გათათრებაზედ ლაპარაკი, მაგრამ ხალხმა უარი უთხრა და ამაზედ ჩხუბიც ატყდა, დიდძალი ხალხი დაიხოცა, ძლიერ ბევრნი აქეთ-იქით გაიქცნენ, ბევრნი დაიღუპნენ, მაგრამ მაინც ბევრი გაათათრეს და ბევრიც დარჩა ქრისტიანებად; ამიტომ ჩხუბიც გაძლიერდა, გურიელებმა ველარაფერი უშველეს.

დიდი ამბები მოხდა, ქრისტიანებს ძლიერ გაუჭირდათ საქმე; აქ აღარავის უშკუბლნენ, რომ ქრისტიანად დაშთენილიყვნენ და ყველას ხოცავდნენ. ეს რომ ნახეს და აღარც ძალა ჰქონდათ ბრძოლისა, მაშინ ყველანი გათათრდნენ, ისე რომ აღარსად სოფელში კაცი არ დარჩენილა გაუთათრებელი მოხუც ქალებს გარდა. ჩვენც მაშინ გავთათრდით. მე მაშინ ვიქნებოდი 16—17 წლისა.

თუმცა გავთათრდით, მაგრამ ეკკლესიებს და ხატებს-კი პატივს ვცემდით და ბევრნი ჩვენებურები ეკკლესიებშიაც დაიარებოდნენ სალოცავად და ჯამეებშიაც. ეს ამბები ხოჯებმა ხონთქარს აცნობეს და მალე იქიდგან ბრძანება მოვიდა, რომ ეკკლესიები ან დააქციეთ და ან ჯამეებათ გადააკეთეთო. ჩვენში ეს ამბები წინათვე შეიტყეს, ამიტომ ერთ დღეს დილა-ადრიან მამაჩემმა გააღვიძა თავისი ძმები, მეც გამეღვიძა, რადგანაც მაშინ ბევრი ვაი-ვაგლახებისაგან ძილი გამკრთალი გვქონდა. მამაჩემმა თავისი ძმები და მეც აჭყვის მთავარ-ანგელოსის ეკკლესიაში წაგვიყვანა. ეკკლესიის კარები გააღეს, შიგ ბევრი რამ იყო, წიგნები, ხატები, ფული, ჯვრები და სხვანი, ყველა ესენი ერთად შეკრიბეს და ეკკლესიის ზეით ერთი დიდი ორმო გათხარეს დ შიგ ჩააწყეს; ზევიდამ ხეები დააყარეს და მერე მიწა მიაყარეს და იქ დამარხეს, რომ ოსმალთ არ წაიღონო. ზევიდამ კიდევ პატარა ლობე შემოავლეს, რომ ნადირი ან სხვა ვინმე არ მივიდეს იმ ალაგზე და არ დაიპილწოსო. ეს რამეები დღევანდლამდე იქ მარხიაო.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## რუსეთის ცხოვრება.

—

სამიწათ-მოქმედო სამინისტრო აარსებს ახალს თანამდებობას ინსპექტორისას, რომელსაც მიენდობა სამეურნეო სასწავლებელთა დროგამოშვებითი რევიზია.

—

რადგანაც მოსალოდნელია, რომ ზოგიერთ გუბერნიებს წელს მოუსავლობა მოელის, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაგზავნა პროვინციაში სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწე ბ. დუნინ-ბორკოვსკი ხალხის გამოკვების თავდარიგის გამოსაკვლევად.

—

სამიწათ-მოქმედო სამინისტროში ამ ჟამად მოგროვდა 162 შუამდგომლობა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა, რომელნიც თხოულობენ თავისს მამულებში გამოკვლევის მოხდენას საჭირო საწყავ არხების გასაკეთებლად. სამიწათ-მოქმედო სამინისტრო ამ საგნისთვის 100 ათას მანეთსა სთხოვს სახელმწიფო საბჭოს.

—

ოქტომბრის დამლევს კიდევ ერთხელ და უკანასკნელად შეიკრიბება კომისია ფინანსთა სამინისტროში, რომელიც განიხილავს ახალს პროექტს საკომერციო სასწავლებელთა შესახებ. შემდეგ, ნოემბერში, ეს პროექტი წარედგინება სახელმწიფო საბჭოს. პროექტი ძირეულად სცვლის საკომერციო სწავლის საქმეს რუსეთში, საკმაოდ აძლიერებს და აუმჯობესებს მას.

—

მოსკოვის წერა-კითხვის კომიტეტს დაუარსებია კომისია, რომლისთვისაც მიუნდვია შეგროვება ცნობათა პირველ-დაწყებით სწავლის მდგომარეობის შესახებ რუსეთში. კომისიას უკვე შეუგროვებია მრავალი და მდიდარი სტატისტიკური მასალა, რომელსაც განხილვის შემდეგ დასტამბავს.

—

პირუტყვთა მფარველს საზოგადოებას განუზრახავს თვისის მოღვაწეობის პროგრამა გააძლიეროს ერთის სიმპატიურის საგნით: მას ჰსურს დაეხმაროს გლეხობას, რომ კარგის ჯიშის მუშა საქონელი გაიჩინონ.

## სასჯულო საქმეთა მინისტრის სიტყვა.

(დასასრული *).

„ჩვენ ვლით და გვჯერა კიდეც, რომ რუსეთის საქმე ბოლოს დაამყარებს მშვიდობიანობას განცალკევებულსა და ერთმანეთის მომტრე ინტერესებს შორის, მოსპობს ძლიერის უძლურზედ ბატონობას, ყველგან ერთნაირად მოჰფენს სიმართლეს, სადაც-კი ან ყოფილა და ან შეიძლებოდა ყოფილიყო სხვათა შევიწროება, დაჯაბნა, სულ ერთი არ არის ბრძოლა და წინააღმდეგობა; ეჭვი არ არის უნაყოფოდ არ ჩაივლის იმათი მეცადინეობა, რომელთაც თავგანწირვით უმუშავნიათ აქ დიდხნობით; დასასრულ, დადგება უთუოდ,—თუ ჯერ არ დამდგარა,— ადგილობრივ მრავალგვარ ელემენტებისათვის დრო გონივრულ შეგნებისა, რომ გარემოებას უნდა შეურიგდნენ და დაემორჩილნენ.

„ჩემის ფიქრით, ეს აზრი უნდა ჰქონდეს რუსეთის ახალს სასამართლოს იმპერიის შორეულ კუთხეებში. ეს სასამართლო, როგორც მოწყალე და ჭეშმარიტად სამართლიანი, სრულიად დაშორებული იქნება სარწმუნოებრივსა, პოლიტიკურსა და პარტიულ ტენდენციებისაგანა და იქნება იგი საშიშარი ან საზიზღარი მხოლოდ მათთვის, ვისაც რამ ნაკლი და სენი აქვს. იმ დრომდის, ვიდრე ეს უკანასკნელნი ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან და სასამართლოს მოღვაწეობა თავისის თვისებითა, ძალითა და რაოდენობით შეუცვლელი დარჩება, მას ბრძოლის ხასიათი აქვს. მაგრამ ეს განსაკუთრებული, მშვიდობიანი ბრძოლაა, ბრძოლა ბოროტთან; აქ უფლება უფლების უქონლობას ებრძვის, კანონი უკანონობას. და აი აქ, ამ ბრძოლაში, ამ სამართლის ერთგვარად განაწილებასა და სრულს მიუდგომლობაშია მისი აზრი, მისი ძალა,—აქ გამოჩნდება მისის მოქმედების გამარჯვება. ისე არაფერი არ აწყნარებს და აფერხებს უსაზღვრო ენებასა და გულისთქმას, როგორც სამართლის მიერ ჩაგონებული აზრი, რომ მისთვის „არა არს არცა ელლინი, არცა ებრაელი“, რომ იგი არ არჩევს სარწმუნოებას, ენას, ჩამომავლობას, წოდებას, შეძლებასა და სხვათ, მისთვის ორივ ერთნი არიან—შეურაცხყოფილნი და შეურაცხმყოფელნი,—ისინი, ვინც კანონის მხრივ დასჯა დაიმსახურა და ან ვინც მისის მფარველობის ღირსია. ასეთის სამართლის წინაშე ყველა ერთნაირად იხრის ქედს, მას ყველა ნდობი-

*) იხ. „ივერია“ № 218.

---

ჩი და მაისვენე. მართალია სიყვარულის გამომჟღავნება ყველა ქალს ეხათრება და ეძნელება, მაგრამ, იი, ქაა! მაგრე გარდაჰ გადასვლაც არაში ვარგა. თორე შენ იცი, დედავ, და თვალო, მე რა, მე კარგა ხანია ჩემი კალო გამილეწნია, წუთი-სოფელიც მამიჭამნია და პირი სამარისაყენ მიქნია.

თიკოს ჯოჯოხეთის გენია უდუღდა გაფათრულ გულში და თან ძალზედ სწყუროდა გაეგო, როდის და ვიზე დაინიშნა გაიოზი, მაგრამ მოულოდნელის მწუხარებით ელდა-ნაკრავი გული ვერ მოემაგრებინა, ისევ ნაჭერ-ნაჭერ ესერებოდა სიყვარულის გამხეცებული შხამ-ბრაზით, ტვინი თონესავით უხურდა, ყელში მობჯენილი სევდა-ნაღველი სულს უგუბებდა და შავ-ბნელად აღშფოთებული გრძნობა-ფიქრებისაგან ენა ებმოდა სისხლ-მოშხამულს.

— ვის ქალზე დანიშნულა გაიოზი?—ჰკითხა ბოლოს როგორც იყო ხმა-გულის კანკალით.

— არავისაზე, გეხუმრებოდი.

— რას მიმალავ, სწორეთა ჰთქვა.

— აკი სწორეთ ვამობ, მრუდე ღმერთმა დასწყევლოს. სისწორისათვინ ვინ რაჰ მაძლევს, რო სიმრუდე ვილაპარაკო.

— აბა, მაშ დაიფიცე,—ათრთოლებულის ხმით წარმოსთქვა თიკომ და გულში რაღაც იმედი ჩაესახა.

— ვიცი რათ გინდა, გამოგცადე: ვნახო რას იტყვის-მეთქი.

— არა, შენ კიდე მცდი, აბა დაიფიცე, რო არ დანიშნულა, თუ მართალი ხარ? ქალწულებრივის მოკრთალებით შეეკითხა თიკო, თეთრ-შუქიანი ლოყები აჭრელებულად აუჭიაფერდა, თვალებ-გაბრწყინვებულს გულმა ძალზედ ძგარა-ძგური დაუწყო და ისე შეშინებულად გაუყარა მარეხის თვალი თვალში, თითქოს უნდოდა სულის საძირკვლამდის ჩაეხედნა და დანამდვილებით გაეგო: მართალს ეუბნებოდა, თუ კიდევ სცდიდა.

— არა, იგრემც რო წავალ და აღარ მოვალ, იქ ჯოჯოხეთი ნულა ნახოს ჩემმა აქ ტანჯულმა სულმა. რას ამბობ, ქა, გაიოზის სათაყვანებელი ხატი შენა ხარ, მზე და მთვარე შენზე ამაჰდის, კაცი შენთვინა კვდება და დნება დღე და ღამე, და იმისი ცრემლ-გაუშრობელი სიყვარული ცა და მიწასაც-კი ცოდვით ავსებს ყელთამდინ—იგრე ენით-გამოუთქმელად უყვარხარ, და აბა ეხლა ის სხვაზე დაინიშნება, თუნდაც ორთ-ხემწიფემ შააძლიოს ქალი?! ოჰ, რო იცოდე, თიკო, როგო უყვარხარ გაიოზს! იგრე უყვარხარ, იგრე, რო რა ვიცი რა გითხრა: როგორც ვაჟკაცს ქანწული ქალა-მზეს ძუძუკოკობები და ვასიცხულს მუშას— მთის ანკარა წყარო და გრილი ნიავი.

მეტად მგრძნობიერ თიკოს რაღაც დაემართა: ჯერ სიზმრად ნანახი გაიოზი მოელანდა, შავად მოღრუბლულ გულში მობრუნებული იმედის სხივნათელი ჩაეშუქა, მერე შავი დიდრონი თვალები ევლოგიის სანთლებივით აუჟრიკჟრიკდა, თეთრ-შუქიანი სახე ღრუბლ-გადაყრილ მზესავით გაუბრწყინდა, წნორის ფურცელივით აჟრჟოლებულმა თავი ველარ შეიმაგრა, ძალზე აქვითინებულ გულიდამ მთის ნაკადულივით ამოჰქუხდა მდუღარება, ერთი ეს-კი წამოიძახა ამკვნესარეულის ხმით: „ოხ! მარეხო, მარეხო! შენ რაღაზე მტანჯავ, რა გინდა ჩემგანო“ და შუბლ-დანაოჭებულ მარეხის მხარზე მინაზებულად თავ-ცალუნული გულ-დაწყვეტით ქვითინებდა თვალ-მიბნედილი თიკო, რომელსაც გასურნელებულ მაისის ლური ნიავ-ქარი გულ-წარმტაცად უბურძგნიდა ბუჟლა კავნაწნავებს, ანეარებული სახე ცის ელვასავით უშვენოდა, ედემის ნაზად დაფეთქილ ყვავილს მიუგვანდა და შემდეგი ფიქრი ეხატებოდა ზედ: შენთვის ვსტირი და ვიმდუღრები, იმედო ჩემო ბედნიერებისავ, თვალთა სინათლევ და გულის სიხარულო გაიოზ! გაგიჟებით მიყვარხარ და სანთელივით ვიწვი შენი სიყვარულით, მაცოცხლებელო მზეო ჩემო სიცოცხლისავ და მანათობელო მთვარევ ჩემო სიბნელისავ!..

ოჰ, რა ბედნიერი იყო იმ წუთებში სრულ-ქმნილის მშვენიერებით აღსავსე თიკო, რომელსაც წეღან მეხივით მოჰხვდა სიყვარულით დატანჯულ გულში გაიოზის დანიშვნა, რის გამოც დაჭრილ ლომსავით გარისხებულ-გამწარებული მთელ ქვეყანასაც არ დაინდობდა გასამუსრად, რომ შესძლებოდა, და ეხლა-კი, როცა გაიგო გაიოზი იგრევ იმას ეკუთვნოდა, მზად იყო ცამდე ბედნიერი თიკო მთელ ქვეყანას საამებელ მალამოთ დასდებოდა. ნეტა რა ხარ უძლევთა ძალთა მძლეველო სიყვარულო!..ის თიკო,რომელსაც ერთ დროს გაიოზის დანახვაც-კი ჭირივით ეჯავრებოდა: როგორ თუ მე იმან სიყვარული გამიბედაო, დღეს კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა გაიოზის სხვაზედ დანიშვნის მოგონილმა ამბავმაც-კი! და როცა გაიგო მარეხი ეხუმრებოდა—თიკოს გულის სიხარულს და სულის ნეტარებას საზღვარი აღარა ჰქონდა: ყინვის ზოდებათ გულზედ შემოწოლილი დიდის ხნის სევდა-ნაღველიც-კი იმ წარმოუთქმელ ნეტარებისაგან დამდნარი ვერცხლივით ამოუდუღდა გულიდგან და მარეხის კაბის შავ-კალობეს ბჭყვრიალა მარგალიტებივით მოეფინა დახატულად. მარეხის ორივ ხელები მოეხვივნა თავისს გულში მიხუტული თიკოსათვის და მის თანაგრძნობით გულ-ამდუღრებულს ცრემლი სიბრალულისა გადმოსდიოდა სადღაც ჯურღმულში ჩაცვივნილ თვალებიდგან. კარგა ხანს ისხდნენ იმ სურათათ სულ-განაბულები, რადგანაც სისუსტისაგან თვალებ-მიბნედილი თიკო რაღაც სანეტარო ოცნებას მიელულა და გაებრუებინა მარეხის გულ-მკერდზედ ნაზად მისვენებული და იმასაც არ უნდოდა ტკბილი წამები დაერღვივნა შეყვარებულისათვის.

— სუ თითო-თითოდ ვიცი შენი გულის პასუხები,—უთხრა მარეხიმ, როცა თიკო გამოეგო მგზნებარე სიყვარულის მთრობელა ოცნებიდგან.

— რა გულის პასუხები? შეეკითხა თიკო.

— ის, რო ჰშიშობ: გაიოზის შერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და პატივისცემით ეპყრობა; ასეთი სამართალი ყველასთვის ერთნაირად ქველმომქმედია, ერთგვარად ჰფენს ყველას სიმართლის ძალას, რომელიც საზოგადოებაში თანასწორობას ამყარებს და მეფის ბრძანებით, ანიჭებს-რა თვითოეულს, რისიც ღირსია, ყველა წოდებასა და ყველა მცხოვრებლებს ერთს კანონს უმორჩილებს. რასაკვირველია, ამისათვის მარტო იურიდიული ცოდნა და გამოცდილება არ არის საჭირო, არამედ საჭიროა ბევრი სხვა გონებრივი და ზნეობრივი თვისებანიც, საქმისადმი დიდი სიყვარული და მისის პრინციპების ერთგულობა, — საჭიროა კულტურულ საშუალებებთან ერთად სიმშვიდე და სიმაგრე ხასიათისა, ზომიერება, და ის, რანაირად დაიცვას სახელმწიფო სასამართლოს ღირსება. საჭიროა აგრეთვე განათლებული და ფართო შეხედულებანი, ჰუმანიური აზრი სხვისის ტანჯვისა და უნებურად დაცემის საქმეში; შეუძლებელია აგრეთვე არ ჰქონდეს ყოველმხრივი ცოდნა არა მარტო ადგილობრივის კანონებისა, არამედ ადგილობრივის საზოგადო და კერძო პირობებისაც,—უთუოდ საჭიროა ადგილობრივ თავისებურ დამოკიდებულებათა პირობებში ჩახედვა, თუ რომ კეთილ-სინიდისიერადა და სამართლიანად გვსურს გარემოებათა დაფასება. ადვილი არ არის ყველა ამისი შესრულება, მაგრამ ისიც ძვირფასია, ვისაც მოღვაწეობა დაუფასდება და ღირსეულს სიმაღლეს მიაღწევს. იგი პატიოსნურიდ, რწმენითა და სიმართლით გაუწევს სამსახურს მეფესაცა და მამულსაც რუსეთის შორეულს კუთხეში, და ამ სამსახურს არ დაივიწყებს არც სახელმწიფო და არც თანამემამულენი. დიდი ხანია, გამიგონია, რომ ასეთის სამსახურისა იშვიათი მნახველი არ არის ბალტის მხარეო, და ამიტომ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა ბედნიერი ვიქმნებოდი, საკუთარის თვალით ვიხილო და დავრწმუნდე ყველა ამაშიო".

---

## უცხოეთი

**გერმანია.** 26 სექტემბერს მიულჰაუზენის ქალაქში (ელზასში) მუშამ ანდრია მეირმა მოჰკლა დანით ფაბრიკანტი შვარცი. ეს ამბავი დეპეშამ როგორც-კი მიიტანა ბერლინს, იმპერატორმა ვილჰელმმა მაშინვე გაგზავნა ელზას-ლოტარინგიის მთავარ-მართებლის სახელზედ დეპეშა, რომლითაც სამძიმარს უცხადებდა მოკლულ ფაბრიკანტის ქვრივს. დეპეშაში ვილჰელმმა ისიც მოიხსენია, რომ მკვლელობის მიზეზი სოციალ-დემოკრატიის აგიტაცია არისო, უნდა წინააღვუდგეთ ამ მოძრაობასო და სხვა. იმპერატორის ამგვარმა დეპეშამ მიიქცია მთელის გერმანიის ყურადღება. დეპეშიდგან ცხადად სჩანს, როგორ გაჯავრებულია სოციალისტებზედ ვილჰელმი! იმპერატორმა საჭიროდაც არ სცნო მოეცადა დაწვრილებით ამბისთვის—თუ ვინ იყო ის მუშა, მართლა სოციალისტთა პარტიას ეკუთვნოდა, თუ არა. ნამდვილად-კი აღმოჩნდა, რომ მკვლელს ანდრია მეიერს არავითარი კავშირი არ ჰქონია სოციალ-დემოკრატიასთან. ის ყოფილა ცუდის ზნეობის კაცი, ქურდობისათვის უკვე ერთხელ დასჯილი და ახლაც ცუდის ყოფა-ქცევისათვის ფაბრიკიდგან დათხოვნილი.

—

**ინგლისი.** „დაილი ნუზ"-ის სიტყვით, ამ დღეებში ოპპოზიციის მეთაურნი წარმოსთქმენ დიდს პოლიტიკურს სიტყვებს. ორატორთა რიცხვში გაზეთი ასახელებს როზბერის, ასკვიტს და მაკ-კარტის. რადგანაც ხმა დადიოდა, რომ ლიბერალთა პარტია დამარცხების შემდეგ ზრუნავდა პროგრამის შეცვლა-შესწორებისათვისო, ამიტომ პარტიის მეთაურთა სიტყვები უთუოდ საყურადღებონი იქნებიან.

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის ჟურნალ გაზეთობა ისევ მადაგასკარის შესახებ სჯის და კამათობს. ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველთ, რომ გაზეთების უმრავლესობა პროტექტორატის მომხრეაო. მაგრამ ბოლო დროს უფრო და უფრო მატულობს იმათი რიცხვი, ვინც თხოულობს მადაგასკარის სრულიად შეერთებას საფრანგეთთან. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალშენთა მინისტრად ნამყოფის ლემაგის აზრმა ამ საგნის შესახებ. ლემაგი ამბობს, რომ პროტექტორატი ცალიერი სიტყვაა და რომ პროტექტორატის დაარსებით საფრანგეთი არაფერს მოიგებსო არც პოლიტიკურად და არც ეკონომიურად. მადაგასკარი ვეებერთელა კუნძულია, მისი ტერრიტორია აღემატება გერმანიის იმპერიას; ეს ახალშენი მეტად მდიდარია ბუნებით, მადნეულობით და სხვა. ამგვარის ტერრიტორიით სარგებლობაო, ამბობს ლემაგი, პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც მეტად სასარგებლო იქმნება საფრანგეთისათვისაო და ამიტომ საფრანგეთმა ის სრულიად უნდა ჩაიგდოს ხელში და პროტექტორატზედ ლაპარაკიც არა ღირსო.

ერთი სიტყვით, მადაგასკარი გემრიელ ლუკმად შეიქნა საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის და საეჭვოა დასთმოს და არ შთანთქას სრულიად.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ერთი ფრანგული გაზეთი, შეეხება-რა თავ. ლობანოვ-როსტოვსკისა და გენერალ დრაგომიროვის მისვლას საფრანგეთში, ამბობს, რომ მათს საფრანგეთში მისვლას კავშირი აქვს რუსეთისა და საფრანგეთის შორის ხელშეკრულობასთანაო. თუ ვერწმუნებით ამ გაზეთს, ის ამბობს, რომ რუსეთისა და საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრების დიპლომატიური მოლაპარაკება ამ საქმის გამო დაიწყო პეტერბურგში და პარისში გათავდაო. ხელშეკრულობაში. გარდა სხვა-და-სხვა პირობებისა, გაზეთი ამბობს, რომ რუსეთმა იკისრა მიეშველოს საფრანგეთს, თუ მას ომი დაუწყო სამთა კავშირმაო.

---

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

თვით-მმოძრავი ეტლები დიდს იმედს იძლევიან იმისას, რომ ველოსიპედივით ძლიერ გავრცელდება მათი ხმარება. ამ წელს, გაზაფხულზედ, უკვე გამოსცადეს თვით-მმოძრავი ეტლები და მართლაც გამარჯვებულმა ეტლმა მანძილი პარისსა და ბორდოს შუა აქეთ-იქით 48 საათში გაიარა. მას შემდეგ თვით-მმოძრავი ეტლები თან-და-თან ხმარებაში შედის. ამ ჟამად პარისში განზრახვა აქვთ ავტომობილისტთა კლუბი დააარსონ; ამისი იდეა რამდენიმე სწავლულსა, ინჟენერსა და ხელოვნების მოყვარეს ეკუთვნის. კლუბში შეკრებილ იქნება ყველა ცნობები შესახებ თვით-მმოძრავ ეტლებისა, მათის გაუმჯობესებისა და ხმარების შესახებ. აქვე გამართავს სხდომას კომიტეტი, რომლის მოვალეობა იქნება გაავრცელოს ამისთანა ეტლების ხმარება. პროვინციებშიაც გაიხსნება რამდენიმე განყოფილება ამ კლუბისა. კომიტეტი წინაშე ადმინისტრაციისა და სასამართლოებში დაიცავს ინტერესებს თვით-მმოძრავ ეტლებით მატარებლებისას და ეცდება მათთვის დაწესდეს საგანგებო სადგურები. ამ ასოციაციას ეყოლება თავისი ტეხნიკები, ინჟენრები, ვექილები და დახმარებას გაუწევს სიტყვით და საქმით ყველა მათ, ვინც-კი მოისურვებს ამნაირი ეტლების შემოღებას ხალხის წასაყვან-წამოსაყვანად.

---

## როშფორის მემუარები.

„ფიგაროს" უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია წინასიტყვაობა როშფორის მემუარების შესახებ, რომლებიც გაზ. „ჟურ" (დღე)-ში დაიბეჭდებიან. ეჭვი არ არის ეს მოგონებანი დიდად საყურადღებონი იქნებიან. ამისათვის მოგვყავს ზოგიერთი ნაწყვეტები იმ წერილიდგან, რომელიც ფრანგულს გაზეთში იყო დაბეჭდილი.

როშფორი ხსნის მიზეზს, რამ აიძულა ეს თავისი მოგონებანი დაეწერა. «ნაცნობს კაცს რომ უთხრა: „თქვენ უთუოდ უნდა შეგედგინათ თქვენი მემუარებიო"—ეს იმას ნიშნავსო,—ამბობს როშფორი,—რომ ზრდილობიანად აცნობო, სხვა რამისთვის აღარ ვარგიხარო. მიუხედავად ამისა მემუარების წერა არასოდეს არ მოისპობა, რადგანაც ხალხი მუდამ სცდილობს ინსტიქტიურად თავისი მოგონებანი აღადგინოს, რომ ამ წარსულის მოგონებით თანამედროვეთ თვისი ცხოვრება განუზიაროს.

მე თვითონ შევხვედრივარ და უთუოდ თქვენც გინახავთ ისეთი ხალხი, რომელთაც თქვენის სერთუკის ღილისათვის ხელი ჩაუჭიდნიათ, სადმე მყუდრო კუთხეში გაუყვანიხართ და თავისი ცხოვრება გაუმჟღავნებიათ: „ო, ჩემი ისტორია რომ გიამბოთ!" მაგრამ მოუსმენთ თუ არა ამ ამბავს, მაშინვე შენიშნავთ, რომ იგი არავითარს ინტერესს არ წარმოადგენს. ყველა ადამიანი ჰხედავს გამადიდებელ შუშის დახმარებით, რაც-კი მას შეეხება.

35 წლის განმავლობაში მეპურე ქალი, რომლიდგანაც ჩემი მშობლები პურს ყიდულობდნენ, ყოველ-დღე დილის 12 საათზედ ჩამოვიდოდა ხოლმე ზემო სართულიდგან თავისს დუქანში და საღამოს 8 საათამდე არა ჰშორდებოდა დახლს; მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ უშლიდა, რომ თავისის გაჭალარავების მიზეზი შემდეგის სიტყვებითა და სიამაყით არ აეხსნა: „როგორც გსურდეთ წარმოიდგინეთ, ჩემი სიცოცხლე მღელვარებით იყო აღსავსეო"!

მიუხედავად ამისა მე მაინც შეუძლებლად მიმაჩნია ჩემი სიცოცხლე იმ მეპურე ქალის სიცოცხლეს შევადარო. სხვა-და-სხვა გარემოებათა მიზეზით, რომლებიც მუდამ ჩემგან არ იყვნენ დამოკიდებულნი, ათასგვარი შთაბეჭდილება და გაჭირვება გამოვცადე. იმ კაცსავით, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე რუსეთის საყინულე გორაკებზედ ცურაობაში

---

თვას თავის დღეშიაც არ მიყაბულებს დედ-მამაო, და შენი სიყვარულის ანთებულ სურვილსა და წყურვილს უფრო ანთებული გენიის ცეცხლი ეკიდება სამწვავისად.

ამ სიტყვებზედ თიკოს ორათ-ორი ალმასის ცრემლი გადმოეკიდა თვალის ქუთუთოებზედ.

— აკი გითხარ: ვიცი-მეთქი! ეგე, მა შენმა ორმა მარგალიტის მარცვალმაც კვერი დამიკრა: მართალს ამოფო. რაჰ დამენაძლიები, იგრე შევაგულიანო და გადვიბირო შინი დედ-მამა—ნება მოგცენ, ვინც შენ გიყვარს, ის შაირთო, და ყველას პირში ჩალა გამოვავლოთ, ვინც-კი შენ საქმროთ გეტოტინება ძალზედ მოწადინებული.

— მაგას ხო თავი-დღეშიაც ვერ მაახერხებ,—ხმის კანკალით უხრა თიკომ და რაღაც მორცხვობამ ჭიაფერივით აუწითლა ბამბის ლოყები.

— ვერ მაახერხებო?! ვაი შენს მარეხის! რატო მაგრე კვალში მაგდებ. არა, შვილო, ჯერ შენ კიდე კარგა ვერ მიცნობ: მე ის არა ვარ, რაც შენა გგონივარ. ჩემი ხნისა ქვაც აღარ-ალი, და აქამდინ ცხრა-ჯერაც მიიბარებდა ღმერთი ჩემ სულს, მაგრამ იმასაც-კი შიშით ვერ გაუბედნია: ანგელოზ-ქაჯებს სუ ერთიანად გადამირევს და სამოთხე-ჯოჯოხეთს თავზე ჩამაიცვამსო!

— ი, ქა! როგორი კვილმიტი სიტყვა იცი, ჭირისუფალსაც გააცინებ. ნეტავი შენ, რო ყველთვინ ე მაგეთი მხიარული გული გაქვ,—საამო მუსიკალურის ხმით წარმოსთქვა ღიმილ-დამშვენებულმა თიკომ და გულწარმტაცად აუელვარდა გავარდისფერებულ ნაზ-ტუჩებთან თეთრი მძივ-მარგალიტის კბილები.

— ნეტავი მე-კი არა—დაღმენჭილ ბებრუცანას, გადაყრუებული ქოფაკი ძაღლიც რო აღარ მაღირსებს-ყე შამოხედვას, ნეტავი შენ, ბედ-ძლიერო თიკოიავ, რო მთელი ქიზიყის დევ-გმირებივით ვაჟკაცებს გულს უხილავ და უტყვევეფ საარაკო სილამაზით. მაგრამ მე იგრევ იქა ვარ და დროსაც უნდა ვეშურნეთ, მინამ არავინ დაგვიძახებს და წამოგვაწყდება. ჰო, ის უნდა მეთქვა. გუშინ დედა-შენი შამომჩივის შენზე: „აწ, რა ვქნაა, ქა, ი გოგო რო იგრე ხაზმუზიანობს და საცოდავად ჩამოდნა და მიილივა მთვარესავითო, სწორედ რომელიმე ხატის მიზეზი იქნება და არ ვიცი, რომელ მკითხავს ვაკითხინოთო. პრასიანურ ახლად დაცემულ ქადაგს აქებენ კარგა დოჰტოლრივ აცნევსო და ეგება იმაჰთან გავგზავნო კვირასაო". მე-კი მეცინებოდა ჩემ გუნებაში და ვფიქრობდი: თიკოს დამდნობი ხატი შენსავე სახლშია და სახელად გაიოზი ჰქვია-მეთქი. თიკო, აი, შვილო, რა გითხრა. შენ ეხლა იგეთი პატარა აღარა ხარ, რო ავი და კარგი არ გესმოდეს. ცეცხლი თივაში არ დაიმალებაო, კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო, და ათასიც რო ჰმალო, მაინც ვერას დამიმალავ—ღმერთს იგეთი გულთამხილაობის უნარი მოუცია ჩემთვინ, ვენაცვალე იმი დიდებულობას. იგრევ ის გირჩევნია, სარკესავით გადამიხსნა გული და მითხრა: აბა შენ იცი, ჩემო მარეხო, რა წამალსაც მამიძებნი სიყვარულით დადაგულსო. თორემ უთქმელი სევდა-ნაღველი დაგუბებულ ნაგუბარივით აგიშმორდება, ჟანგივით შაგჭამს, გამოგხრავს და ფრჩხილის დანაფასიც არა გამოვა-რა იმიდგან საკეთილო. დღეს იგეთი უცოდო-მადლო ხალხი გამხდარა ყველგან, რო თუ შენვე არ იზრუნე შენ თავზე, სხვა უფრო ჭიან ტყემლათაც არავინ ჩააგდებს შენს დარდსა და ბოროტს. ჯერ დედაც-კი მაშინ აწუებს თავის ძუძუთას, როცა ყმაწვილი ტირილს მოჰყვება-ყე. ხო გაიგე, რაც გითხარ?

— მერე?.. დაბნეულად იკითხა თიკომ.

— მერე რაღა, მემრე კიდე ის, რო ე შენი საარაკო სილამაზე მაინც შაიბრალე, თუ ჯანი არ გებრალება. სილამაზესაც აგრე უნდა უფრთხილდებოდეს ქალი, როგორც თავის სიქანწულეს, თორე სილამაზემაც მალე იცის დაჭკნობა და დამჭკნარი ყვავილი ვიღას რათ უნდა?! ეგე მართლა, დედი-შენისა არ იყოს, როგო დაჰდნი და დაილივე მთვარესავით. ლოყები მაისის ვარდივით გიღუოდა თეთრყირმიზათ, და ეხლა-კი თავანდებური აღარც ფერი გატყვია, აღაცრ იერი... გეშინოდეს, თიკო: შენ სილამაზესაც სიმჭკნარე არ შეეპაროს და მოწყვეტილი ვარდის საქმე არ დაგემართოს ეგრე, შვილო, დაუხანებლივ ეცადე საცაღელი, თორე სიკვდილი ყურს უკან გვიზის წუთი-სოფლის უხანო სტუმრებს. ადამიანი გაბერილი გუდაა: დანდობილა იცლება და ამძორებულ ლეშათ იქცევა-ყე მატლების გასახაროთ. კაი ქმარ-შვილი კაი სამოთხესაცა ჰჯობია და ნეტარება იმას, ვინც ადრე და მალე ეღირსება ჟამ-გადაუსვლელათ ეგეთ ბედ-იღბალს წუთისოფლის მოსაჭმელათ. აბა, ვერც ეხლა მიჰხვდი და ჩაჰგულისხმდი?.. გული გამიხსენ, გული, თუ ჭკუასა ხარ, მითხარ ყველა დაუხათრებლივ სისწორით და გულის ნატვრა აგიხდება; ადამიანი ადამიანის წამალიაო, ადამიანს ადამიანის მოკვლაც შეუძლიან, გაცოცხლებაცო, და ესაც ხო იცი, რო შენი საიდუმლო ორთ ჩვენ გვეცოდინება და ორთ ცასა და დედამიწას. აბა, ეხლა ჯერ ეს მითხარ: იგეთი რა ვიხერხოთ, რო შენთვინ თავ-გადაკლულ საქმროებს ცოცხის ჯოყა წამოუსვათ, ყველანი კარს უკან მივაფოჩოჩოთ დოში ჩამრჩვალ ბუზებივით, და გაიოზის შართვა არ დაგიშალოს დედ-მამამ?

— შენა გკითხავ, თიკო, მიპასუხე, რა მგლოვიარესავით ჩაგიკიდნია ე თავი, დიდი ხანია შენი ძმა დავასაფლავეთ.

— მე რა ვიცი, რა გიპასუხო,— არეულივით წამოიღუღლუღა მარეხის სიტყვებით დაფიქრებულმა თიკომ და თან ელვის სისწრაფით გადასწყვიტა თავისს გულში: „ეხლა-კი ყველას გავუმჟღავნებ, თორე მართლაც და უთქმელობა კარგს არას დამაყრისო".

დ. მაჩხანელი.

(შემდეგი იქნება.)

გაუტარებია (montagues russes), მეც 25 წლის განმავლობაში ბევრჯელ მიმიღწევია უკიდურეს სიმაღლემდის და ბოლოს-კი ისევ შავ-ბნელს უფსკრულში ამომიყვია თავი. სულ არ გაუვლია რამდენსამე თვეს მას შემდეგ, რაც ხალხმა კეტებით დაამტვრია Sainte Pélagie-ს საპატიმროს ალაყაფის კარები, რომ მე განვეთავისუფლებინე და დიდის პატივითა და ყვავილთა ქვეშ დაფენით მივეცილებინე ნაციონალურ მთავრობასთან, რომ უკვე შებორკილებული გამგზავნეს ვერსალში და თანაც სიკვდილს მექადოდნენ. მთელის საათის განმავლობაში ვიღაც პუგაჩევისავით ქუჩა-ქუჩა მატარებდნენ და ეხლაც-კი თითქმის თვალითა ვხედავ იმ მოხუცს, ყავის-ფერ ტანისამოსში, რომელიც წითელს ქოლგას მიაფრიალებდა და თანაც ჰყვიროდა: „აა, ეს არის როშფორი! ამ ქამად-კი ტყავი უნდა გავაძროთო!“

ეჭვი არ არის, იმისის აზრით, დიდი შეცოდება იყო, რომ წინადვე არ გამაძრეს ტყავი.

აქ უნდა შენიშნოთ, რომ ეს კაცი ნახევარის წლის წინად უთუოდ თითონაც იღებდა მონაწილეობას, როდესაც Sainte Pélagie საპატიმროდგან დიდის დიდებით მოვყავდი ხალხს, და ისიც სხვებთან ერთად «ვაშას» ძახილით მომდევდა უკან.

მე ვსტკბებოდი ყოველგვარ სიხარულითა და ყოველგვარი მწუხარება შევსვი. ვერსალის საპყრობილის ვიწრო და პატარა ოთახში მე ვიმეორებდი და ვითვისებდი ჩემს სასჯელს, რადგანაც გამომიცხადეს მალე, ძალიან მალე უნდა მოელოდდეო ახალს სასჯელს და მე-კი არ მსურდა მოუმზადებლად დავხვედროდი. შემდეგ, როდესაც ტყვიით დახვრეტა სხვა, უფრო მძიმე, სასჯელზედ შემიცვალეს, რაიცა რეაქციის აზრით, სიკვდილს მაინც არ ამაცდენდა,—სამუდამოდ გამგზავნეს და ციხეში ჯდომა გადამიწყვიტეს,—როდესაც მეგობრებსა და მტრებს ერთნაირად ეგონათ ანტიპოდთა (კაცის მჭამელთა) შორის, პაპანაქება მზეში უთუოდ დავდნებოდი, და ამისი მოლოდინი ხომ მეც უთუოდ მქონდა—მე უცბად წყნარს ოკეანეში გავჩნდი და ევროპაში ამოვყავ თავი. მე მაშინ მართალია საკმაოდ გახურებული ვიყავ, მაგრამ ცივის წყლისა მაინც არ მეშინოდა და ამიტომ თამამად ამოვიყურყუმელავე მასში; თუმცა მართალია იმისათვის, რომ გაქცევით მეხსნა თავი.

ეს ჩემის სიცოცხლის ამბავი რომ მარტო მე შემეხებოდეს, ხელსაც არ მოვკიდებდი მემუარების წერას; მაგრამ ჩემი სიცოცხლე, ვინ იცის, იქნებ უფრო მრავალ-ფეროვანი იყო, ვიდრე მღელვარე. როგორც შვილი დრამატიულ ნაწარმოებთა ავტორისა, და თვითონაც დამეწერა რამდენიმე ვოდევილი, რისთვისაც ბევრი საყვედური მივიღე, როგორც ჟურნალისტი, დეპუტატი და დასჯილი, მე ყველა წრის წარმომადგენელთა შორის ვიყავი ხოლმე.

როშფორი მოგვითხრობს, რომ იგი ჯერ სულ ახალგაზდა ყოფილა, როდესაც რაშელთანა და ლამარტინთან უვლია, და იმ დრომდის, ვიდრე იგი პოლიტიკას მიჰყოფდა თურმე ხელს, ძველს მხატვრობას ძალიან მისდევდა და არტისტებთანაც ჰქონდა დამოკიდებულება.

„მე ისეთს ცხოვრებას ვატარებდიო,—ამბობს მოთხრობის ავტორი,—რომ ყველა ცნობილ და შესანიშნავ პირებთან მქონდა დამოკიდებულება, ყველას ვხვდებოდი; მაგრამ ჩემი ცხოვრება შეარყიეს ყველა დიდმა მოვლენებმა; ამიტომ ვფიქრობდი, ეს ჩემის ცხოვრების ამბავი უინტერესო არ იქნება სხვებისათვის-მეთქი—გამოვამჟღავნე, რომ უნიშანწყლოდ არ ჩაიარონ დღემდის ჩემს მეხსიერებაში ჩარჩენილმა მოგონებებმა; მით უფრო რომ ამ მემუარებში პირადად მე და ჩემს მოგონებებს არ ექმნება იმდენი ადგილი დათმობილი, რამდენიც სხვათა მოგონებებს.

ყოველს შემთხვევაში ის მტრები, რომლებიც მე ამ ქამადა მყავს და რომლებსაც კიდევ შევიძენ, გულახდილად აღიარებენ, რომ მე მისს დღეში არ დამიწყია მათთვის პირადის განზრახვით მეტოქეობა. იმის მაგიერად რომ მეთქვა ხოლმე:

Ote-toi de là que je m'y mette,

მე მთელს ჩემს სიცოცხლეში სულ სხვა წესით ვხელმძღვანელობდი:

Ote-toi de là que je ne m'y mette pas“.

## სასამართლოს მატიანე.

ვილნის სასამართლო პალატაში გაირჩა ერთი საყურადღებო საქმე. მემამულე ბელოზორს დაეკარგა რამდენიმე ცხენი. მან მოსამსახურეებს უბრძანა უეჭველად ეპოვნათ დამნაშავე, წინააღმდეგს შემთხვევაში დათხოვნილ იქმნებოდნენ ადგილიდგან. მათ დაიჭირეს ორი კაცი და საშინელი წამება დაუწყეს. ბელოზორის ბრძანებით ისენი გამოტყდნენ და თავისს თანამოზიარეთ დაასახელეს კიდევ ორი, რომელნიც აგრეთვე იყვნენ დასჯილნი. სამმა მათგანმა იკისრა დანაშაული, ხოლო ერთი წამების დროს გარდ აიცვალა და უკანასკნელ წუთებშიაც იმას იმეორებდა, რომ მე დამნაშავე არა ვარო. სასამართლომ თორმეტს მათგანს, რომელნიც უმოწყალოდ აწამებდნენ შეპყრობილებს, სასტიკი განჩინება დასდო. ხოლო თვით ბელოზორი-კი გაამართლა. პროკურორმა პროტესტი განაცხადა და სენატმა სასამართლოს გარდაწყვეტილება დაარღვია, რის შემდეგაც საქმე გარდაეცა ვილნის სასამართლოს პალატას, რათა იგი გაირჩეს აქ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით. საქმე სამი დღე ირჩეოდა და ბელოზორი აქაც გაამართლეს. დაისაჯნენ მისი მოსამსახურენი.

## შემოწირულება.

რედაქციამ მიიღო ვასილ ზაქარიას ძე ხანდამაშვილისაგან 3 მან. და მისის მეუღლის მარიამ მიხეილის ასულის ხანდამაშვილისაგან 2 მან. ერეკლე მეფისა და კრწანისის ბრძოლაში დახოცილ გმირთა სახელობაზედ ძეგლის ასაგებად.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** 20 ოქტომბერს, როდესაც შესრულდება ერთი წელიწადი იმპერატორის ალექსანდრე მესამის გარდაცვალების შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორის ხარჯით გაიმართება სადილები გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად შემდეგ ქალაქთა ღარიბ მცხოვრებთათვის: პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა, ხარკოვისა, კოსტრომისა, იალტისა, გატჩინისა, პეტერგოფისა და ცარსკოე სელოს.

10 ოქტომბერს ხელიწიფემ დაათვალიერა კრონშტადში გემები, რომელნიც საზღვარ-გარედ მიდიან.

**ბერლინი.** „ფრანკფურტის გაზეთი“ სწერს: პრინც ფერდინანდის მეუღლე დათანხმდა, რომ პრინცი ბორისი მართლმადიდებელ ეკლესიას შეუერთდეს, რაც 15 ოქტომბერს მოხდება.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,40 | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 211 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | 100 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | 99½ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | 99½ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 97¼ |


# განცხადებანი

გამოვიდა კ. თავართქილაძის გამოცემული ახალი წიგნი

## სახელმძღვანელო

საღმრთო სჯულის სასწავლებლად ძველისა და ახალის ისტორიისა.

მესამე გამოცემა სურათებით.

შედგენილი და შესწორებული სამრევლო სკოლების პროგრამაზედ მღ. ნესტორ ჟუჟანიაშვილის მიერ.

150 გვერდი, ფასი 25 კაპ.

—

Опытъ русско-грузинскаго

## СЛОВАРЯ

ზაგაევისა.

300 გვერ., ღირს 45 კაპ.

—

მარგალიტა გოტიე

ალექსანდრე დუმა-შვილისა.

ფრანგულიდგან ნათარგმნი ნ. ბადრიძისა.

350 გვერ., ფასი 40 კაპ.

(10—10).

დაიბეჭდა მეორე გამოცემით

## იავ-ნანამ რა ჰქმნა

მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა.

წიგნი შემკულია რვა სურათით, რომელნიც მკითხველს თვალწინ უდგენენ: 1) ზურაბ ქართველაძეს და მისს ცოლს პატარა ქეთოთი, როდესაც ქმარი უკრავს თარზედ და ცოლი დამღერის; 2) ქეთოს მოტაცებას ტყეში ლეკებისაგან; 3) ქეთოს ყიდვას ნაიბისაგან; 4) ქეთოს მოტაცებას ათის წლის შემდეგ მამის მიერ; 5) ქეთოს მოყვანას შინ; 6) დედა მღერის „იავ-ნანასა“ და ქეთო გონზედ მოდის, ცნობულობს დედას და იგონებს თავისს ბავშვობასა; 7) ქეთო ხელებ გაშლილი მირბის დედისაკენ; 8) დედა და შვილი ერთმანეთს ეხვევიან. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ბეჟანეიშვილთან და ჭილაძესთან, ოზურგეთსა და სენაკში თავართქილაძესთან. ფასი ყველგან ორი შაურია. (10—2)

დაიბეჭდა მეხუთე გამოცემით

## „РУССКОЕ СЛОВО“,

შედგენილი

იაკობ გოგებაშვილის მიერ.

ტექსტი წიგნისა უცვლელია, მაგრამ ას-ორმოც-და-ათი ახალი სურათი აქვს ჩართული, რვა საბავშვო ლექსი მეორე წიგნიდგან გადმოტანილია პირველს წიგნში და ბოლოში დამატებული აქვს წვრილი ხელის რუსული დედანი. ფასი წიგნისა ექვსი შაური, დაკაზმულისა—ორი აბაზი. ვინც ოც-და-ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, დაკაზმული 32 კაპეიკად. (6—3).

დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)


Дозволен цензоурою, Тифлисъ 11-го Октября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.